საქართ. ძემარცხ. ხოცი-ფედ. რარეკვ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ყოველთვიურად
4 „ 150,000 „
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 488 ოთხშაბათი, ივნისის 6 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

ალექსანდრა სიმონის ასული, გიორგი კონსტანტინეს ძე ახვლედიანი და ლუბა სიმონის ასული კახეთელიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი და ძვირფასი

მარუსია კახეთელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გასვენება ბინიდან (სოლოლაკის ქ. № 10) ა/წ. 7 ივნისს დღისით 12 სათზე.

...ულარ დავაგვიანებთ.

ქართველი ხალხის ცხოვრება წარმოადგენდა მრავალ საუკუნოების განმავლობაში გამუდმებულ ბრძოლას შინაუ თუ გარეშერ მტრებთან. საქართველოს ისტორიული მოწინააღმდეგე განსაკუთრებით ორი სახელმწიფო იყო: ოსმალეთი და სპარსეთი. თავის დროზე ამ სახელმწიფოებს ძლიერი იმპერიალისტური მადა ახასიათებდა. მათ შუა სისტემატიური ბრძოლა არ წარმოადგენდა იშვიათ მოვლენას აღმოსავლეთში ბატონობის უფლების მოპოებისათვის. განსაკუთრებით საქართველოსაკენ ექირათ თვალყური. საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება საკითხს თითქმის საბოლოოდ სჭრიდა სპარსეთ-ოსმალეთისათვის. ეს „ბუმბერაზი“ ქვეყნები ქართველი ხალხის თავის უღლის ქვეშ მოქცევით, საქართველოს ტერიტორიის შემოერთებით ძლიერდებოდა აღმოსავლეთის მასშტაბით. მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურებოდა საქართველოსადმი ტრფიალის საიდუმლოება. საქართველოს მუსლიმანთა სამეფოსთან შედეგებით ახლო აღმოსავლეთის „გიგანტებს“ ეძლეოდა საიმედო იარაღი ევროპიულ კულტურასთან, კერძოთ—იმპერიალისტურ რუსეთთან ბრძოლის წარმატებით მსვლელობისათვეს. ქართველი ხალხი იმ თავითვე იბრძოდა ევროპის ორიენტაციის ფრონტზე. ერეკლე მეორის პოლიტიკა არ იყო შემთხვევითი მოვლენა; ეს ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების ვითარებიდან აღმოცენებულია.

ძვირად დაუჯდა ქართველ ხალს ეროვნული სხეულის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. მურვან-ყრუსა და შაჰ-აბაზის ბასრი ბრჭყალებით დასერილ საქართველოს მშრომელი ხალხის ხერხემალი მთელი საუკუნის განმავლობაში მოითხოვდა წამლობას. კიდევ მეტი, ჩვენი ეროვნული ორგანიზმი დღესაც ჰგულისხმობს, გაჯანსაღებას, გაძლიერებას იმ ქართველების ქართულ კულტურასთან დაბრუნებით, რომლებიც ისტორიულ უკუღმართობამ შორეულ აღმოსავლეთის მიდამოებისაკენ გადაისროლა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოეხსენებათ ფერეიდანელ ქართველ თანამოძმეთა ჩვენდამი მართვა. სპარსეთში რამოდენიმე ათეული ათასი ქართველი ქალი და კაცია გაბნეული. დროთა ბრუნვის მიუხედავათ, მიუხედავად სპარსეთის იმპერიალისტების შავი ზრახვებისა, სამშობლოს მიწა-წყალს მოწყვეტილ ქართველებს მაინც შეუნარჩუნებიათ ქართული ენა, ზნე-ჩვეულება, ადათი. კიდევ მეტი: მათ გულის სიღრმეში არ ჩამქრალა ეროვნული ვინაობის შემეცნება, ქართველი ხალხის სიყვარული. სპარსული იმპერიალიზმი უძლური გამოდგა ქართველ გადახვეწილთა გადაგვარებისათვის.

ამ ჟამად ჩვენს დედა-ქალაქში იმყოფება ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენელი. მას დავალებული აქვს გაცნობა საქართველოს მშრომელ მასასათან ფერეიდანელ თანამოძმეთა მდგომარეობის, მათი ეროვნულ-კულტურულ ტკივილების. აგრეთვე—შესაფერისი თხოვნით მიმართვა მუშურ-გლეხურ მთავრობისადმი რეალი სახის დახმარების გაწევა-აღმოსაჩენად. ყოველ ექვს გარეშე იდგა ფერეიდანელთა სამართლიან თხოვნის დაკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიერ. ისტორიულ ვითარებამ მოსწყვიტა მებრძოლი შვილები დედა-საქართველოს. მუშათა ქვეყანა უსათუოდ მიაქცევდა მათ სერიოზულ ყურადღებას, ასეც მოხდა. დღეს ჩვენი მკითხველი ამოიკითხავს ახ ამბებში სახალხო განათლების კომ. გადაწყვეტილებას ფერეიდანში ქართველ მასწავლებლების და ექიმების გაგზავნის შესახებ. ექვი არ გვეპარება იმაში, რომ სიტყვა საქმით დასრულდება. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამ ეროვნული ღირეიულების საქმის სისრულეში მოყვანას.

ჩვენი მოვალეობა ფერეიდანელ მოძმეების საჭიროებათა დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, ეს საქმე ძალიან გაჭიანურდა. ვფიქრობთ, რომ ამის გასამართლებელი მიზეზი სერიოზული არ არსებობს. რაც უნდა იყოს, აწი მაინც ნუ დავაგვიანებთ და დროზედ მივეშველოთ იმ 40 ათას ქართველს მაინც, რომელიც მოუთმენლად მოელიან ჩვენგან პასუხს.

ქართული თეატრი

(1922—23 წ.)

სეზონი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

გადავავლოთ თვალი..

წარსული წელი უნდა გაიყოს ორ ნაწილად: პირველი—მარჯანიშვილამდე, მეორე—მისი თანამშრომლობით და, მგონი, ხელმძღვანელობითაც.

სეზონის პირველი ნახევარი, როგორც მოგეხსენებათ, კინაღამ კატასტროფით დამთავრდა: არევ-დარევა, მოუმზადებლობა, შემთხვევითი წარმოდგენები, „ხალტურა“ სცენაზე და ათიოდე კაცი დარბაზში. შუბლ-შეკრული საზოგადოება მხრებს იწევდა, შეშფოთებული მთავრობა თათბირებს აწყობდა. საქმე მოგვარდა..

სეზონის მეორე ნახევარი განსხვავდება პირველისაგან მხოლოდ იმით, რომ კოლეგიას მიემატა მარჯანიშვილი, როგორც რეჟისორი და, თუ არა ვცდებით, როგორც სამხატვრო ნაწილის გამგე. ქართული დრამის... არა—სჯობს ესე ვთქვათ—ქართული თეატრის საქმე ისე გამოკეთდა, რომ ბევრი ამას სასწაულთ-მოქმედებას უწოდებდა. მაინც კი: ერთი და იგივე პიესა ზედი-ზედ 4—5-ჯერ, ვატენილი დარბაზი, წარმოდგენის დღეს ბილეთები არსადაა! ქართული თეატრისათვის, მეტადრე სეზონის კატასტროფიულ პირველ ნახევრის შემდეგ. ასეთი წარმატება მართლა რომ დიდი ამბავია. თეატრს აქვს შემოსავალი, ხარჯების დაფარვა შესაძლებელია და მთავრობაც დამშვიდდა.

სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამ ფაქტს, გადავდივართ იმის განხილვაზე, თუ რა წარმატება დაეტყო ქართულ თეატრს, ქართულ დრამას, ქართულ სასცენო ხელოვნებას სეზონის აღნიშნულ მეორე ნახევარში.

შესაძლოა ბევრმა გაიფიქროს.—ერთი გამარჯვების შემდეგ თავის თავად ცხადია, რა ღირსებაც დასდებია ქართულ თეატრსაო, მაგრამ ნუ აეჩქარდებით და განვიხილოთ უფრო ახლო..

სეზონის მეორე ნახევრის წარმოდგენები უნდა გაიყოს ორ ჯგუფად: პირველი—ესე ვსთქვათ—საზეიმო წარმოდგენები, მეორე—ჩვეულებრივი პირველი წარმოდგენები იმართებოდა დიდი მზადებით' ყურადღებით, ანშლაგებით; ეს წარმოდგენებით წილად ჰხვდათ მარჯანიშვილს და ახმეტელს. მეორე (ჩვეულებრივი) წარმოდგენები იყო განმეორება ოდესმე წინად დადგმულ პიესებისა,—განმეორება მსახიობთა ნაწილობრივი შენაცვლებით,—მოუმზადებელი, უგულო, ნაშუოევი, უაფიშოთაც კი, და ეს ბედნიერი რიგი წილად ჰხვდათ ქორელს და ფაღავას. შედეგიც ბუნებრივი მოჰყვა: საზეიმო წარმოდგენებს ესწრობოდა მრავალი ხალხი: მეორე ჯგურის წარმოდგენები კი გადაიქცნენ პირველის მაჩანჩალებად, ცარიელი ადგილის ამოსავსებად და მათი სირცხვილი თავს ეხვეოდა ქორელს, ფაღავას და ერთ მუჭა დამსწრე საზოგადოებას.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი ჩინოვნიკური მორჩილ-მონობა ხელოვნების ტაძარში, რომლის ძალითაც რეჟისორს უხდება სამარცხვინო წარმოდგენების დადგმა მხოლოდ სიცარიელის ამოსავსებად, ყოვლად შეუწყნარებელია. მაგრამ რეჟისორთა ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავებაა არა მარტო მათი პრივილეგიების მხრით: განსხვავებაა მათ მიმართულებაშიც. ანუ—უკეთ რომ ვსთქვათ—იმ ძირითად ინტერესში, რომელსაც ისინი საფუძვლად უდებენ თავიანთ სასცენო მოღვაწეობას.

ქორელი და ფაღავა—ეს „ძველი“ რეჟისორები—თეატრს უყურებენ, როგორც თეატრს—მთლიან მოვლენას და აქედან ცხადდება მათი მუშაობის გეზი. ამის და მიხედვით ესენი სათეატრო მოღვაწეობაში იკავებენ მხოლოდ და მხოლოდ იმ ადგილს, რომელიც საჭიროა ამ მთლიანი მიზნის მიხწევისთვის.

მარჯანიშვილს და ახმეტელს არ ეტყობათ ეს „მთლიანობა“.

ძალიან მოკლე ხანია, რაც ვეცნობით მათ სასცენო მოღვაწეობას, მაგრამ მაინ სათეატრო ინტერესს ისეთი მკაფიო გემოვნება ეტყობა, რომ ამაზე ლაპარაკი შგსაძლებლად მიგვაჩნია.

წარმოდგენის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია პირველად ყოვლისა მსახიობებზე, შემდეგ პიესაზედ და ბოლოს რეჟისორზე. აქ მხედველობაში მაქვს ნორმალური პირობები, ე. ი. როდესაც მსახიობი და რეჟისორი მოიხმარს მთელს თავის ნიჭს და ცდილობას. კარგი მსახიობის ხელში სუსტი პიესაც საინტერესო წარმოდგენად ხდება და, პირიქით, კარგი პიესაც შესაძლებელია პანაშვიდად გადაიქცეს.

ზემოთ ნახმარ სიტყვებს—„წარმოდგენის ავ-კარგიანობას“ „საინტერესო წარმოდგენას“—მე ვაძლევ პირობითი აზრს: წარმოდგენა უნდა იყოს იმდენად მაინც „კარგი“, „საინტერესო“, რომ მაყურებელს მთქნარება არ მოუვიდეს; საზოგადოებამ „ინტერესით“. უნდა გაატაროს საღამო: ეს არის სავალდებულო minineum-ი.

წარსული სეზონის „მაჩანჩალა“ წარმოდგენები ვერ აკმაყოფილებდენ მოთხოვნილების ამ minimum-საც. სამაგიეროდ საზეიმო წარმოდგენებმა ამ მხრივ გადააჭარბეს ჩვენს მოლოდინს: მშვენივრად მომზადებული პიესები, მშვენიერი დეკორაციები, მოწყობილობა, ფერადი განათებები, მუსიკის ილიუსტრაციები, ცეკვა—ერთი სიტყვით, სასცენო ტეხნიკა უხვად ბედოვლათად; ჰხარჯავდა თავის ძალ-ღონეს და დარბაზსაც კმაყოფილების შუქი ეფინა. გაფაციცებული თვალი და ყური ვერ ასწორებდა აეკრიფა ეს მრავალფეროვანობა, დარბაზი ინტერესით იყო მოცული.

მაგრამ...

მე უკვე მოგახსენეთ, რომ ესეთი ინტერესი არის მხოლოდ minimum-ი. ჩვენ კი ლაპარაკი გვაქვს ქართულ თეატრზედ, ქართულ სასცენო ხელოვნებაზედ, ქართულ დრამაზედ, მის აღორძინებაზედ, ერთი სიტყვით—ჩვენი დროების და მოთხოვნილების ღირსების თეატრის შექმნაზედ! ამისათვის კი minimum-ის მასშტაბით გამოსვლა ვერ გვიშველის.

ის ინტერესი, რომელმაც ჩვენ შეგვიპყრო მარჯანიშვილის და ახმეტელის წარმოდგენებზე, არ არის ჯერ კიდევ ნამდვილი თეატრის, სადაც სრულდება ხელოვნების ქურუმთ-მსახურება! აქ არ არის ჯერ კიდევ თეატრალობა მისი საუკეთესო მნიშვნელობით.

რას მოვითხოვთ ჩვენ თეატრისგან?

სასცენო ხელოვნების მღვდელთ-მსახურების რთულს რიტუალში არის ერთი უზენაესი მომენტი—**სათეატრო დარბაზის სიმთვრალე!** ეს ის მომენტია, როდესაც მაყურებელი გამოდის პასიურ მეთვალყურის მდგომარეობიდან და თითონაც ეზიარება სცენის მსხვერპლ-შეწირვებას! ეს ის მომენტია, როდესაც სავარძელში გადასვენებული მაყურებელი განცხრომის ღიმილით-კი არ ათვალიერებს პროჟექტორის წითელ-ყვითელ ფერადებს, არამედ წინ წაზიდული, თითქოს ფეხზედ წამოვარდნას აპირობსო, აღელვებული, სუნთქვა-შეხუთული, კუნთებდაჭიმული განმზადებულია საგმიროდ, ეს ის მომენტია, როდესაც ათასობით ხალხი ტირის ან იცინის სცენის ცრემლებით და სიცილით! ეს ის მომენტია, როდესაც აღარსადაა არც სცენა, არც მსახიობი, არც მაყურებელი—ღრმა განცდა, აღტყინება, სიმთვრალე!

სადაც არ არის ეს,—იქ არ არის თეატრიც!

ჩვენ გვახსოვს მარჯანიშვილის პირველი სიტყვა, რომლითაც მან მიჰმართა სარეჟისორო კურსების მსმენელთ; მან გაიხსენა საოცარი მშვენების შემთხვევა ამერიკის ერთ-ერთ თეატრში: „ოტელოს“ წარმოდგენის დროს ახალგაზრდა მაყურებელმა იქვე სცენაზედ მოჰკლა იაგოს როლის დიდებული განმასახიერებელი; როდესაც სახლში დაბრუნდა და გამოჰნელდა თეატრის სიმთვრალე, თითონაც თავი მოიკლა.

სრულიად ვეთანხმებით მარჯანიშვილს: ეს მშვენებით თრობა უნდა აღიარებულ იქმნას თეატრის დევიზად.

მაგრამ...

სად არის ეს „თრობა“ ჩვენს თეატრში?

ჩვენი მსახიობები სრულიად უზრუნველყოფილნი იყვნენ: მათზედ ტყვიას არავინ დაჰხარჯავდა...

რასკვირველია, რეჟისორი ვერ შეჰქმნის დიდებულ მსახიობს და არც იმას ვემდურით, რომ წარსულ სეზონში არავინ შემოგვაკვდა, მაგრამ სად იყო **ის ტენდენცია მაინც ასეთი ამაღლებისთვის?!**

სამწუხაროდ ჩვენ ამასაც ვერ ვხედავთ!

წლევანდელი ჩვენი საზეიმო წარმოდგენები ემსახურებოდენ სულ სხვა **რაღაცას** და არა იმ ღრმა განცდის მიზანს, ურომლისოდაც წარმოდგენა უკეთეს შემთხვევაში **საინტერესო საჩვენებლობაა**—მხოლოდ! ძალიან ვფრთხილობ, მაგრამ მაინც არ შემიძლიან არ ვიფიქრო, რომ მარჯანიშვილს თეატრი აინტერესებს პირველად ყოვლისა, როგორც **სარეჟისორო ასპარეზი!** - რეჟისორული შემოქმედება, ტეხნიკა, ვირტუოზობა—აი თავი და თავი მისი სასცენო ინტერესისა! ასეთი წმინდა რეჟისორული ფსიხიკით მიდგომა სახიფათოა თეატრისთვის.

ამისათვისაც აღვნიშნეთ ზევით, რომ ფაღავა და ქორელი უფრო სწორე გზას ადგანან: მათთვის თეატრი არის მთლიანი დიდი მოვლენა, რომლის მიზანიცაა მთლიანი და ძლიერი ესთეტიური განცდის შექმნა; რეჟისორი, როგორც ჭკვიანი ბებია, მხოლოდ ჰშველის სილამაზის დაბადებას. მარჯანიშვილის და ახმეტელის ხელები-კი ეძებენ მხოლოდ მძიმე მშობიარობის შემთხვევას, სადაც საჭიროა კეისრის განკვეთა მძიმე ოპერაცია, ვირტუოზობის ცხადება, მხოლოდ **რა** დაიბადება, ასე გონია, ეს მათთვის მეორე ხარისხოვანი საკითხია! ამისათვისაც არის, რომ თქვენ გაფაციცებით ადევნებთ თვალ-ყურს რეჟისორის ვირტუოზულ ხელის მანიპულიაციებს, გიკვირთ, კმაყოფილების ღიმილი არა გშორდებათ სახიდან, მაგრამ—დაეშვა უკანასკნელად ფარდა და თქვენ „თავისუფალი“ ხართ თეატრისგან: სახლში არა მიგაქვთ რა!

ყოველ დრამას, როგორც სამუსიკო პიესასაც აქვს თავისი **მელოდია**. ეს მელოდია არის დედა-ბოძი მთელი პიესისა: კომპოზიციის მთელი შესაძლებლობა იკრიბება მის გარშემო მისივე მშვენიერების ცხად-საყოფად—ეს არის უკვე პიესის ტეხნიკა, ვირტუოზობა. ორთქლისა და ელექტრონის ხანამ შეჰქმნა ცხოვრების აჩქარებული ტემპი. პირაქაფებული ფაცი-ფუცი. მერკანტილიზმის გაცოფებული დოღი—აი რა ახასიათებს დღევანდელ „კულტურულ“ ცხოვრებას. ამ ფსიქიკით (თუ ფსიქოზით?) ატაცებულს ადამიანს უძნელდებოდა **დინჯი მელოდიის** მოსმენა: მას უნდა თავბრუ-დამსხმელი სამ სართულიანი პასაჟები; ფერდების და ფორმების კალეიდოსკოპი, ტრიუკები, კინემატოგრაფი, ჩვენი დროების პირმშო შვილია. „რაც შეიძლება მოკლე ხანში ბევრი ადვილად მოსანელებელი შთაბეჭდილების მიღება“—დევიზია თანამედროვეობას? როგორ შეეფეროს მას? ეს ფრიად რთული საკითხია და ჩვენც ამ ჟამად არ ვიბაასებთ ამაზედ; ვიტყვით მხოლოდ, რომ თეატრში მელოდია არ უნდა დაიჩრდილოს ტეხნიკური ვირტუოზობით. მელოდიას კი იძლევა თვით პიესა.

(დასასრული იქნება).

ნ. შიუკაშვილი.

ფაღლი-ღაბაჯები

რუსეთი და ინგლისი

ლონდონი, 2 ივნისი. დიდ წერილში, რომელიც „დეილი ტელეგრაფში“ და „დეილი ქრონიკლში“ იყო მოთავსებული, ლლოიდ ჯორჯი აღნიშნავს მეფის მთავრობის რეჟიმის საშინელებას, რომელმაც მტკიცეთ გამაგრებულ ბოლშევიკურ წესწყობილებამდე მიგვიყვანა. ლლოიდ-ჯორჯი თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ათავებს: „მთელ ქვეყანას მშვიდობიანობა უნდა ინგლისს, კერძოდ, ვაჭრობა სჭირია“. ლლოიდ-ჯორჯის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის წრეებზე.

ლონდონი, 2 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო შორსაა იმ აზრისაგან, რომ პროვოკაცია გასწიოს რუსეთის მიმართ და ხელი შეუშალოს საბჭოთა მთავრობას დანიშნოს თავის წარმომადგენლები, თუმცა კერზონმა გვერდი აუარა დიპლომატიის ჩვეულებრივ წესებს და ეს საკითხი კატეგორიულ მოთხოვნილების ფორმებში გამოხატა. რუსებმა, როგორც გავს, ცუდათ გაიგეს ეს მუხლი. ყველა ამ გაუგებრობის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ კონფერენციას, რომელსაც რუსეთი თხოულობს“.

ლონდონი, 1 ივნისი. „დეილი ექსპრესი“ სწერს: ინგლისის უმთავრესი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. ვაჭრობა რუსეთთან უნდა გაგრძელდეს“.

რომი, 1 ივნისი. გაზეთი „იუსტიცია“ სწერს: „რა უფლება აქვს კერზონს პროტესტი განაცხადოს ბოლშევიკური პროპაგანდის გამო იმ დროს, როცა მოკავშირეები აწარმოებენ ინტრიგებს, რომელთაც მიზნათ აქვს რუსეთში სამოქალაქო ომის გამოწვევა“.

პეტროგრადი, 2 ივნისი. ინგლისის განმეორებითი ნოტის გამო შესდგა საგუბერნიო პროფკავშირთა საბჭოს გაფართოვებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრენ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები. ზედიზედ გამოდიოდენ კავშირების და ცალკე ფაბრიკების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდენ, რომ ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა და წავედით შეძლებისდაგვარად ყოველგვარ დათმო-

ბაზე მაგრამ შემდეგში ამაზე მეტ დათმობაზე წასვლა იმის გარეშე, რომ არ შეილახოს რევოლიუციის, თავისუფლების და მუშათა კულტურის ინტერესები, შეუძლებელია.

მიღებულია ერთსულოვანი მიმართვა ინგლისის მუშათა პარტიისადმი და აგრეთვე ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოსადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მუშებს და გლეხებს უყვართ თავისი მშრომელთა რესპუბლიკა, მათ არ სურთ ჩხუბი და დავა, მაგრამ ისინი ნებას არ მისცემენ ინგლისის ბურჟუაზიას აბუჩად აიგდოს ისინი. მშვიდობიანობა საფრთხეშია! ინგლისის მთავრობას სურს ჩაახშონ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა და ცდილობს სისხლის ღვრით იძიოს შური მუშებზე და გლეხებზე იმ გამოწვევისათვის, რომელიც მოხდა 1917 წელს მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ციტატელის სახელით პეტროგრადის მუშები მიმართავენ ინგლისის მუშებს თხოვნით გაათკეცონ თავიანთი ღონისძიებანი ინგლისის იმპერიალისტების ზრახვების თავიდან ასაცდენად და დახმარება გაგვიწიონ ბლოკადის, ინტერვენციის და ახალი ომის თავიდან აშორების საქმეში.

რუსეთის ცნობის გარშემო.

მოსკოვი, 2 ივნისი. ჩინეთის ვაჭრებისაგან მიღებულია შეკითხვა ნიჟეგოროდის ბაზრობის პირობების შესახებ ჩინეთის ვაჭრები აქტიური მონაწილეობის მიღებას ფიქრობენ ბაზრობაზე.

მოსკოვი, 2 ივნისი. იტალიის სავაჭრო წარმომადგენელი მოსკოვში ამადორი იტალიის მთავრობის მიერ გაწვეულია თანამდებობიდან. ახალი სავაჭრო წარმომადგენელის ჩამოსვლას მოელიან ამ დღეებში.

მოსკოვი, 2 ივნისი. ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება და მოლაპარაკებას აწარმოებს საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია ქიულ გედის შვილის მეთაურობით.

ბერლინი. 1 ივნისი. ხიო-იორკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ბუში, ბერლინში ცნობილ ეკონომიურ მოღვაწეებთან მოლაპარაკების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა.

ტოკიო. 31 ივნისი. ოსაკის სავაჭრო პალატა 4 ივნისისათვის იწვევს რუსეთთან დამოკიდებულებაში დაინტერესებულ კომერსანტების ყრილობას.

კოპენგაგენი. 1 ივნისი. რეიხსტაგის საგარეო საქმეთა კომისიამ დაამთავრა რუსეთ-დანიის ხელშეკრულებაზე მსჯელობა. ცნობილ ლიბერალების მთელი რიგი მოითხოვს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ რატიფიკაციას.

სტოკგოლმი. 1 ივნისი. შვეიცის მთავრობა იტყობინება ოსინსკის მოსალოდნელ ჩამოსვლის შესახებ სტოკგოლმში მოლაპარაკების საწარმოებლად. გაზეთები ათავსებენ ოსინსკის ბიოგრაფიას. „პოლიტიკენი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა გზავნის შვეიცარიაში ერთ-ერთ გამოჩენილ ეკონომისტს.

ბრიტანელ მევალეების კრება.

ლონდონი. 1 ივნისი. ინგლისელ მევალეების კრებაზე ურკარტმა განაცხადა, რომ ის მიესალმებოდა ბრიტანეთის შეთანხმებას რუსეთთან იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა იცნობს რუსეთის ვალებს და დასთანხმდება აუნაზღაუროს ზარალი ყოფ. პატრონებს.. ურხარტი ფიქრობს, რომ საბჭოთა მთავრობა ადვილად შესძლებს ამ საკითხის მოგვარებას, რადგან მანეთის კურსის დაცემამ ფაქტიურად გააუქმა შინაური ვალები და ყოფილი მოკავშირეები დასთანხმდებიან ძველი მთავრობის მიერ ომის დროს აღებული სესხების გაუქმებაზე. მისი აზრით უცხოეთის სახელმწიფოების და კერძო პირებისადმი ვალების რაოდენობა არ აღემატება 800 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ამათგან კერძო პირებს ეკუთვნის 250 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ურკარტის წინააღმდეგ გაილაშქრა მანქანების დამმზადებელი კომპანიის დირექტორმა მარშალმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იმ დროს, როცა ერკოსი ხელს უწყობს რუსეთსა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას, ბრიტანეთის სავაჭრო წარმომადგენლობა მოსკოვში თავისი მოქმედებით სულ წინააღმდეგ შედეგებს აღწევს. ინგლისის მთავრობა არ ეხმარებოდა თავის მოქალაქეებს სავაჭრო ხელშეკრულებით სარგებლობის საქმეებში.

რურის ოლქის ოკუპაცია.

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის პრესის ინგლოფიურად განწყობილი ნაწილი დიდ მნიშვნელობას აძლევს ერთ და იმავე დროს ბერლინში ინგლისის ელჩის დებერსონის ჩამოსვლას, ლონდონში კი გერმანელ ფინანსისტების ჩასვლას. ფიქრობენ, რომ გერმანია ახალი სარეპარაციო წინადადების გაგზავნამდი შეეცდება უზრუნველყოს თავისათვის ინგლისის დახმარება. ამის გამო გერმანიის ახალი წინადადებების ტექსტი მზად იქნება არა უადრეს მომავალი კვირისა.

ბერლინი. 1 ივნისი. დარმშტადში მოხდა უმუშევართა დემონსტრაცია. ბუცენში პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლეს ორი უმუშევარი, დაიჭრა 6.

რეიმშტადის რაიონში გრძელდება ლითონზე მომუშავეთა გაფიცვა. კელნში, მიუხედავათ პროფკავშირების ლიდერების წინააღმდეგობისა, გაიფიცნენ ქალაქის საწარმოო დარგების მუშები.

ბერლინი. 1 ივნისი. გუშინ რეიხსტაგის შენობაში გაიხსნა რურის, შუა გერმანიის და ბერლინის ფაბრიკა.ქარხნების დელეგატების კრება. დელეგატებიდან 15 არის სოციალ-დემოკრატი, 10 დამოუკიდებელი სოციალისტი და 71 კომუნისტი. კონფერენციამ მოითხთვა კომუნისტური პარტიის დევნის შეწყვეტა, შრომის ხელფასის საკითხის მოგვარება. პროლეტარული თავდაცვის რაზმების და საკანტროლო კომისიების ცნობა.

უკანასკნელი ორი მუხლის მიღებაზე ზეევერინმა უარი სთქვა.

„როტე-ფანე“ ამის შესახებ სწერს: „კაპპის ტერორის შემდეგ მუშები ნება დაურთველად ილაშქრებდენ თეთრი ტერორის წინააღმდეგო“.

კომპარტია ფხიზლად არის.

ბერლინი. 1 ივნისი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომი მოუწოდებს ფრანგ ჯარის-კაცებს რურში შეასრულონ თავისი პროლეტარული მოვალეობა გერმანელ მუშების წინაშე.

ბერლინი. 1 ივნისი. რურის სამთო-მადნო წარმოების მუშები პროტესტს აცხადებს მრეწველების მემორანდუმში წამოყენებულ მოთხოვნილებების გამო. მუშები ფიცს სდებენ, რომ ყოველგვარი ზომებით შეუშლიან ხელს მრეწველების ზრახვების განხორციელებას.

საფრანგეთი და ბელგია

პარიზი. 4 ივნისი. ოთხშაბათს ბრიუსელში გაიხსნება მოკავშირეთა მინისტრების კონფერენცია, რომელზედაც დაესწრებიან: პუანკარე, ლაისტერი და ლეტროკე.

პარიზი. 4 ივნისი. გერმ. პრესის აზრით, საფრანგეთს და ბელგიას შორის შესაძლებელი იქნება შეთანხმების მიღწევა ბრიუსელის კონფერენციაზე რურის ოპერაციის გაგრძელების საკითხში.

პარიზი. 4 ივნისი. ბრიუსელის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ბალდვინს მოელიან პარიზში.

პარიზი. 4 ივნისი. ბალდვინმა „პტი პარიზენ“-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ის იმედს ამყარებს მის ფრანგ კოლეგებთან შეხვედრაზე ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ ინგლისი და საფრანგეთი შესძლებენ რურის ოკუპაციის საკითხში საერთო ხაზის გამონახვას. ის ცდილობს საფრანგეთის და ბელგიის მშვიდობიანობის გარანტიების საკითხის მოგვარებას, მაგრამ იმასაც ანგარიშს უწევს, რომ ეს გარანტიები აუტანელ ტვირთად არ დააწვეს გერმანიას.

პარიზი. 4 ივნისი. საფრანგეთის პრესის აზრით, საფრანგეთ-ბელგიის კონფერენცია, რომელიც გაიმართება ბრიუსელში, უმთავრესად განიხილავს ბელგიის სურვილს, რათა შემცირებული იქნეს მოკავშირეების მოთხოვნილებანი, რომლებიც უნდა წარედგინოს გერმანიას.

ლოზანის კონფერენცია

ლონდონი. 31 მაისი. კონსტანტინოპოლიდან „მორნინგ ტორონტოს“ ლონდონელ კორესპონდენტს სწერს: „მოკავშირეები სრულ კაპიტულიაციაზე წავიდენ ისმეტ-ფაშის წინაშე.საზღვარგარეთელ მოქალაქეების იურიდიულ უფლებების შესახებ ოსმალეთში ორივე მხარე შეთანხმდენ, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის პოლიციას უფლება ეძლევა დაატუსაღოს უცხო სახელმწიფოთა ის მოქალაქენი და გაჩხრიკოს მათი ბინები, ვინც შემჩნეულია ოსმალეთის კანონების დარღვევაში; დატუსაღება და გაჩხრეკა უნდა მოხდეს საზღვარ-გარეთელ იურიდიულ მრჩეველთათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ. აშკარაა, სწერს კორესპოდენტი, ეს წინასწარი შეტყობინება აჩრდილია იმ პრივილეგიების, რომლითაც სარგებლობდენ უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები კაპიტულიაციის რეჟიმის დროს. ამას გარდა ასეთი წესები განზრახულია ხუთი წლის ვადით, რომლის შემდეგაც საზღვარგარეთელ მოქალაქეებს არავითარი პრივილეგიები აღარ ექნებათ.

ლოზანა. 31 მაისი. ლოზანას კონფერენციის საფინასო კომისიის სხდომაზე ოსმალებმა შეურიგებელი პოზიცია დაიჭირეს საზღვარგარეთელ საქციო საზოგადოებების პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხში. მოკავშირეთა პრესის კომენტარიები კონფერენციის საქმეთა საერთო მდგომარეობის შესახებ ამ ჟამად, მეტად პესიმისტურია.

ლოზანა. 1 ივნისი. პრესის ცნობებით საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და საბერძნეთ შორის ხელმოწერილი იქნება არა უგვიანეს ორი კვირისა. ფიქრობენ, რომ ინგლისელები ევაკუაციას უზამენ სტამბოლსა დი სრუტეებს მის შემდეგ, როცა საზავო ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება ოსმალეთისა და ერთ მოკავშირე სახელმწიფოს მიერ. რამოდენიმე დღის წინედ დაწყებული ოსმალეთ-ამერიკის მოლაპარაკება ოფიციალურ ხასიათს ღებულობს.

პარიზი. 4 ივნისი. „ეკსჩენდი ტელეგრაფ“-ის ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა გარდინგმა უფლება მისცა ამერიკის ელჩს ბერნში დასდოს ხელშეკრულება ოსმალეთთან.

პარიზი. 4 ივნისი. „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტი იტყობინება ლოზანიდან, რომ საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმებას, რომლის შესახებ აღნიშნავენ ზოგიერთი გაზეთები, ადგილი არ ქონია. საფრანგეთს და ოსმალეთს შორის არსებობს მხოლოდ ერთი შეთანხმება, რომლის ტექსტი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო.

„გიმნაზიელის დღიური“*)

(გაგრძელება*)

დიახ, ეს სწორეთ ასე გახლავს. მაგრამ თქვენ თუ ეს ვერ გაგიგიათ, უმთავრესად იმიტომ, რომ მსოფლიო კულტურა-ცივილიზაციის განვითარების პრობლემა ლოღიკისა და ფსიხოლოგიის სადაო საკითხად მიგიღიათ და მიტომაც ასეთ „ხელის ხელ საგოგმანებელ მარგალიტ“—ეშმარიტებას ბრძანებთ.

„ლოღიკა მხოლოდ ჩვეულებით აყოვლადებული ინტელექტუალური ზოგადობაა-ზოგადობა კუთხური, ჯგუფური, ხშირად ტემპერატურული ხასიათის, და როგორც ასეთი, ყალბი მარადობისა და უნივერსალობის თვალთახედვით“. *)

ვიმეორებთ, ტერმომეტრი ყველგან ტერმომეტრია ისე და იმნაირათ, როგორც მოქ. კოწია კაპანელი ერთი და იგივეა როგორც ბათომში, ისე სოფ. კაპანაშიც. კუთხეებსა და ჯგუფებს, ტემპერამენტსა თუ ტემპერატურას ლოღიკაში ისე არავითარი ცვლილების შეტანა შეუძლიათ, როგორც, მაგალითად, შარშანდელი თოვლი გავლენას ვერ მოახდენს გუშინწინ ინგლისელების მიერ წითელ რუსეთის საბჭოთა მთავრობისადმი მიმართულ ნოტაზე. და ეს ასეა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ლოღიკის კანონები, როგორც მეცნიერებათა მეცნიერების კანონები აბსოლუტურია.

მაშასადამე, ბ. „ფილოსოფოსო“ და „ახალი ფილოსოფიურ- ესთეტიურ სისტემის შემქნელო, თქვენ მიერ აღწერილ ფანატიკოსს და ველურ ავსტრალიელისა და ინგლისელი აქიმ ლოდორის ერთმანეთთან შედარება, როგორც ლოღიკოსების,-მეტად ყალბი და ბალღურიცა! **)

ამბობენ: მეგრელს კითხეს ყური სად გაქვსო და მან ასე უპასუხა:

„აი აგერ, პატენის“-და ამ სიტყვებით მან მარჯვენა ხელი თავის მარცხენა ყურს მოკიდა.

მაგრამ თქვენი „ლოღიკის“ სიმკვეთხე-სიმახვილე განსაკუთრებით შედეგს სტრიქონებში აღწევს ზენიტამდი:

„ქრისტემ ლაზარე გააცოცხლა-განა სიკეთე უქნა?-ლაზარეს ორჯერ სიკვდილი დასჭირდა, რომ არ გაეცოცხლებია, მხოლოდ ერთჯერ მოკვდებოდა.“

*) იქვე-გვ. 71

**) ჩვენი შეხედულებით, ასეთი საკითხის გამოსარკვევათ საუკეთესო მაგალითებით სარგებლობა შეიძლება ევკლიდეს გეომეტრიისა და მ. ლობაჩევსკის მეტაგეომეტრიის საფუძვლების ერთმანეთის დაპირისპირებით. მაგრამ ასეთი საღი და მიზან შეწონილ მაგალითების მოყვანასა და აწონ-დაწონას ბ. კაპანელი თავის „შემოქმედების“ გამჭრიახობის ფარგლებში მოთავსებას ვერ შესძლებს. რაკი, რასაკვირველია, „ჭამა ქონებაზე ჰკიდია“.

ჩვენც ასეთივე მაგალითით გიპასუხებთ, ბ. ფილოსოფოსო. მოქ. კოწია კაპანელი გაცივდა, ავათ გახდა და ორ კვირაზე მეტ ხანს იწვა. ამ ორი კვირის განმავლნბაში ყოველ დღე დადიოდა აქიმი და კაპანელს მკურნალობდა და კიდეც განკურნა. განა ამით აქიმმა კეთილი საქმე ჩაიდინა? აკი მოქ. კოწია კაპანელი კიდევ შეიძლება გაცივდეს ავად გახდეს და ლოგინიდან წამოდგომის ნებას დიდხანს არ მისცემენ. ასეთი რამ მოქ. კაპანელს არა ერთხელ შეემთხვევა, თუ კი „ფილოსოფიურ-ესთეტიური პრობლემებს კაცობრიობის სასურველათ მოელის გადაჭრა მის „შემოქმედებით გამჭრიახობის“ საშუალებით და ის დიდხანს იცოცხლებს. კითხვა ახლა ასე დავსვათ: აქიმმა ბ. კაპანელისადმი სიკეთე ჩაიდინა თუ ბოროტება, როცა ის პირველათ განკურნა? უეჭველია მისდამი-სიკეთე, მაგრამ, ამ სტრიქონების ავტორისა და მკითხველ საზოგადოებისადმი კი დიდი ბოროტება. რატომ? რასაკვირველია იმიტომ, რომ აქიმს ბ. კაპანელი პირველათ ავათ გახდომისგან რომ არ გაეკურნა, იმშემთხვევაში ის მოკვდებოდა და მკვდარი კაპანელი ხომ „სული და იდეია“-ს ვერ დაგვიწერდა. ამ შემთხვევაში მას მხოლოდ მისი „**Стихи Философа**“ დარჩებოდა და მარტოთ-მარტო ეს „გენიალური ქმნილებაც“ საკმარისი იქნებოდა წუთისოფლის „ბოლომდე მისი უკვდავება იქნება-დიდებისთვის უკვდავების ჰიმნების სამღერათ.

აი ასე ყალბათ მსჯელობს მოქ. კაპანელი ლოღიკის აბსოლუტურ კანონების ღირებულებაზე და მიტომაც ასეთ „დიფისამბებს“ უმღერის მას:

„ლოღიკა უარყოფს გენიოსური კეთილშობილებისა და კოსმიური სევდის გაშლილობას. ლოგიკა სულისა და ნებისყოფის ბორკილია! ლოგიკის დებულებები მეშჩანური comme il gaut-ს მარჯვლებია“. *)

„ალბად მიტომაც“ კაცობრიობამ წარმოშვა ჰომეროსები, პლატონები, ერატოსფენები, დანტეები, რუსთველები, გოეთები, ბაირონები, ლობაჩევსკები, ნიცშები და სხვები და სხვები, რომელნიც კაცობრიობის აზროვნების მარადისობის გვირგინს წარმოადგენენ.

თუ ლოღიკის კანონების აბსოლუტურმა ძლიერებამ არა, აბა სხვა რამ დააწერია ბაირონს „დონ-ჟუანი“, „ჰაილდ-ჰარდი“, ჰენიოსური ლექსები და სხვა? პუშკინს—„ციგნები“, რომელსაც თქვენ, მოქ. კაპანელო, ალბად გიმნაზიელის თვალსაზრისით აფასებთ?! ლობაჩევსკის—მეტაგეომეტრია?! ალ. შანშიაშვილის **) „ქალი გრძნეული“, რომელსაც

*) იქვე—გვ. 74.

**) ალ. შანშიაშვილის „ქალი გრძნეულის“ ჩვენ არ წაგვიკითხავს, მაგრამ სამაგიეროთ პირველათ ქუთაისში და მეორეჯერ ბათომში მოვისმინეთ რეფერატი—„ქართულ კრიტიკის სიბეცე და ქალი გრძნეული“ სანდრო შანშიაშვილის გრ. ამაღლებელის, რომელიც მთელი ჩვენი კრიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებს და კიდეც ამტკიცებს, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“ შემდეგ ამ ნაწარმოების ბადალი ერთიც არ დაწერილაო. რაკი ორჯერ მოვისმინე ეს რეფერატი (და ისიც მეორეჯერ განსაკუთრებულის მომზადება-ყურადღებით უსმენდი რეფერატს), შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ გრ. ამაღლობელი ამ ნაწარმოების დაფასებაში მართალია და ყველა ჩვენი კრიტიკოსები კი მართლაც ბეცები და ბრმები, რომელთაც ისიც კი არ ესმით, თუ რა არის ხელოვნური კრიტიკა და რით განსხვავდება მეცნიერული კრიტიკისაგან?

ჩვენმა ოფიციალურმა კრიტიკამ ისე ვერაფერი გაუგო, როგორც მოქალაქე კაპანელს ყაზბეგის მწვერვალზე თოვლის აღება არ ძალუძს?!

მიუხედავათ ამისა თქვენ მაინც ბრძანებთ:

„ლოღიკის საუკეთესო ფორმა არის სოფიზმი ფორმა, რომელიც უარყოფს ლოგიკას და კარიკატურულად ეთანაბრება ყოვლობის ირაციონალიზმს“. *)

„კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო პარასკევია დღესაო“,—სწორეთ თქვენზეა ზედ გამოჭრილი ბ. „ფილოსოფოსო“!

ეხლა შეუდგეთ მოქ. კაპანელის „შემოქმედების გამჭრიახობით“ შექმნილი „ფილოსოფიურ-ესთეტიურ“, ე. ი. „ბიოფსიხიზმისა“ განხილვას.

როგორც ვიცით, ფილოსოფიურ მიმართულებათა რიცხვი ერთობ დიდია.

მიუხედავათ ამისა, უმთავრესათ მაინც ხუთი ფილოსოფიური მიმართულება არსებობს: იდეალისტური, მატერიალისტური, დუალისტური, პოზიტიური და პანტეისტური. **) სპინოზას პანტეიზმს იდეალისტები იდეალისტურ მიმართულებათ აღიარებენ, მატერიალისტები—მატერიალისტურათ და სხვა, მაგრამ ჩვენ იმას ვერც იდეალისტურათ ჩავსთვლით, ვერც მატერიალისტურათ და ვერც თვით იმნაირ პანტეისტურათაც, როგორც ეს თვით მისს დიდ შემომქმედ სპინოზას სურდა. და ამის შესახებ ჩვენ სხვა დროს მოვილაპარაკებთ. ხოლო ეხლა კი იმას აღვნიშნავთ ორიოდე სიტყვათ, თუ

*) იქვე—გვ. 74.

**) ვიმეორებთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, რომ ფილოსოფიური მიმართულება საერთოთ ხუთი კი არა სამოცდა შვიდიც, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზემო აღნიშნული ხუთი მიმართულება მიგვაჩნია უმთავრესს მიმართულებათ. შესაძლებელია მკითხველმა ასეთი კითხვა მოვგცეს: „სხვას რომ თავი დავანებოთ, ანრი შერგსონის „ინტუიტიფიზმს“ ან „ბერგსონიანიზმს“ ერთ-ერთ უმთავრესს მიმართულებათ არ აღიარებს? ჩვენ ამაზე გადაჭრით ვუპასუხებთ: ვერა, ასეთათ მას ვერ ჩავსთვლით! იქნებ გვკითხონ—რატომ, ამის საპასუხოთ, თუ ხუთი არა, ერთი დიდი ტომი მაინც უნდა დავწეროთ.

აღნიშნულ ფილოსოფიურ მიმართულებების წარმომადგენლებს—იდეალისტებსა და მატერიალისტებს, დუალისტებსა და, პოზიტივისტებსა და სპინოზისტებს რა აქვთ სადაო?—რასაკვირველია, მათი იდეალია მსოფლიოს წარმოშობის საიდუმლოების გამოაშკარავება! არსებობს თუ არა ღმერთი და უკვდავება? რისგან წარმოიშვა მსოფლიო—სულისგულისგანა თუ მატერიისგან თუ სხვ.? აი რაის გამორკვევა და გაგება წყურს გაცობრიობის წამებულ სულს!

მაგრამ, რაც ყველასათვის ჯერჯერობით (და ვფიქრობთ სამარადისოდაც) გამოურკვეველია, მოქ. კაპანელმა კალმის ერთი მოსმით „გამოირკვია და გადაჭრა“ ყველაფერი ირაციონალურია, მაგრამ იმავე დროს შემთხვევითია ან ყველაფერი გამოურკვეველ-განუჭვრეტელია, მარა თანაც გამორკვეულ-განჭვრეტილიაო ამბობს ის, როგორც, ეს ზემოთაც დავინახეთ და გადადის სულისა და მატერიის ისტორიულ განმარტებაზე.

მოქ. კაპანელი იწყებს საბერძნეთის უძველეს ფილოსოფოსებიდან და თანდათანობით ორ-ორ სიტყვით ხან ერთ ბრძენს მოიხსენიებს, ხან მეორეს, ეგერ ფიზიკოსს ეცემა, ეგერ—პოეტს და ყველივე ამას, მკითხველთა საბედნიეროთ სულ ხუთ გვერდზე ათავსებს და ასე დასკვნის:

„რთული ნივთიერება უერთდებოდა რთულს და ბუნებრივი რეაქტივებით იქმნებოდა მოძრაული ორგანიული ნივთიერება. ორგანიული ნივთიერებაში ეწყობოდა თავის თავად ორგანიზაცია—ნერვიული სისტემა*), რომლის ნაწილებში უთვალავ წლათა განმავლობაში (sic!) ერთმანეთს შეჩვეულნ ჰქმნიდნენ ერთეულ განუკვეთელ ხმაშეწყობილებას—იმ ხმაშეწყობილებას, რომელსაც აქვს მარადიულად შემოქმედებითი ხასიათი, რომელიც წარმოადგენს ყოვლობის პროტილეას, ენერგიას, ძალას სულს **).

ასე წარმოიშვა მოქ. კაპანელის „შემოქმედებითი გამჭრიახობისა“ და მისი გონების „გენიალური მიხვედრა-აღმოჩენით“ წუთისოფელი და მისი შვილი, „რომლის ბედი“, თვით მისივე სიტყვებით რომ ვსთქვათ, ირაციონალური ნებისყოფაზეა დამოკიდებული“. მიტომაც ასე განაგრძობს: „შემეცნების ფსიხიური conbicio იქმნება. იმ მასალებიდან, რა მასალებიდან (თუ რა მასალებიდანაც!) შესდგება ორგანიულად ჩვენი ნერვიული სისტემა. იდეა არ არის ბუნებრივი და ზემატერიული მოვლენა, იგი ნერვიული ნივთიერების წვის გასხივოსნებაა. ბიორგანიულად იდეა ჩვენში ისე მზადდება, ი[illegible] იქმნება, როგორც, ელვა ჰაერში, როგორ[illegible]

*) ასეთი მსჯელობით მოქ. კაპანელი ბატ[illegible] არნოლ ჰეილინქსს, რომელმაც აგრედ წოდებული ოკაზინალიზმი (causa occasionalis—შემთხვევითი მიზეზი) შექმნა.

**) იქვე გვ. 19.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **საქონლის მანეთი**—პირველ ამა ივნის საქონლის მანეთი ღირდა ბაზარზე 2,290 ათასი მანეთი.

— **შუშხუნები სეტყვის წინააღმდეგ**. მიწათმოქმედების კომისარიატმა მიიღო ბათომიდან რაოდენიმე ათასი შუშხუნა სეტყვის წინააღმდეგ. შუშხუნები გამოწერილია საფრანგეთიდან. შუშხუნები არის სამი ხარისხისა: შუშხუნები კარგად მოქმედებენ და სასწრაფოდ ჰფანტავენ ღრუბლებს. შუშხუნები დაიგზავნა კახეთში და ქართლში სახელმწიფო და სასოფლო მამულთა შორის დასარიგებლად.

— **ქართული ეკლესიის გაუქმება**. ბორჩალოს მაზრაში გლეხების დადგენილებით ქართული ეკლესია დაიხირა და შიგ მოეწყო კლუბი თეატრი, სულ დახურეს მაზრაში 10 ეკლესია და 1 მასტერი.

— **ბირჟა**. 4 ივნისის ოფიციალური კურსი. საბჭოთა ნიშნები—20-ნახ. ჩერვონეცი—11,350-ათ, ინ. სტერლინგი ეფექტიკ,—15000.000 მან. ჩეკი—[illegible]290-ათ, დოლარი ეფექტიკი—3,450,000 მან. [illegible]—3100,000 მან. ოსმალური ქაღალდის ლირა—[illegible]0,000 მანეთი, ფრანკი 165000, იტალ. ლირა—[illegible] ათასი ამ.-კავ. ბონებით.

— **ქალაქის ზოგიერთი ქუჩებისთვის სახელების შეცვლა**. ტფ. აღმასკომმა დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქუჩების გადარქმევის შესახებ. წინადადება მიეცა საალმშენებლო ქვეგანყოფილებას დაუყონებლივ შეუდგეს გადარქმულ ქუჩების ახალ წარწერების და ნომრების გაკეთებას, რისთვისაც გაეხსნას კრედიტი 2,538 [illegible]. ოქროთი. დაევალოს სახლის პატრონებს აღნიშნული წარწერების შეძენა, რის საფასურიც დასაბუთებულ იქნას 80 კაპ.

— **ქალაქის რუქა**. ქალაქის აღმასკომმა გადაწყვიტა 2.700 მან. ახალ რუქის გამოსაცემად და [illegible]ნადადება მისცა სტატისტიკურ განყოფილებას [illegible]ადგინოს და დამტკიცოს 1000 ცალი ახალი რუ[illegible].

— აპრილის ნავთის დამატებითი მოთხოვნიება № 82052 ალექსანდრე ციმაკურიძისა დაიკაყოფა ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **ქართული ენა სახელმწიფო დაწესებულებებში**. საქართ. საბჭ. რესპუბლიკის თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში დაგზავნილია ცირკულიარები, რომ საქმის წარმოება იყოს ქართულ ენაზედ.

— **მსხვილი ქურდობა**. ამ დღეებში გაქურდეს ტყავის მაღაზია ჩიტაშვილისა, ქურდებმა წაიღეს მილიარდის საქონელი. სამილიციო კომისარიატმა შეიპყრო თითქმის ყველა ქურდი და ნაქურდალი საქონელიც აღმოაჩინეს.

— **ბორანის იჯარით გაცემა**. ქალაქის აღმასკომმა საგანგებო კრებაზე გამოიტანა დადგენილება სასწრაფოთ შეუდგნენ ბორანის შეკეთებას. რაც შეეხება ბორანის იჯარით გაცემის საკითხი დროებით დატოვებულ იქმნას ღიათ.

— **საქართველოს სახელმწიფო გემების სამართველოს დახურვა**. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაიხურა 1 ივნისიდან საქართ. სახელმწიფო გემების სამართველო.

— **ს. ს. საქართველოს განათლების სახ. კომისარმა**. სახალხო ჯან-მრთელობის კომისარიატის წევრის თანადასწრებით, მოწვეულს კრებაზე, რომელიც შეეხებოდა ფერეიდანელ ქართველებს დაადგინა. რომ უსათუოდ გაიხნას ფერეიდანში ქართული სკოლები და საავადმყოფო. ამისათვის გაიგზავნებიან საჭირო მასწავლებელნი და ექიმნი. ამ საქმის შესახებ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მინდობილი აქვს სპეციალურს კომისიას, რომლის დასრულების შემდეგ შეუდგებიან საქმის მოწყობას.

1 **„ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების“** წესდების პროექტი უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად ს. ს. საქართველოს განათლების კომისარიატში-საორგანიზაციო კომიტეტის მიერ.

— **ბრმების სკოლა**. პირველ ივნისამდე ბრმების შკოლაში მეცადინეობდა 39 ბავში. ბავშების მიერ დამზადებულ სამუშაოს გაყიდვისაგან დარჩა 59.550.000 მანეთი.

— **შრომის ბირჟა**. გამოცხადდა 465 უმუშევარი, ამ რიცხვიდან 322 მამაკაცი, დანარჩენი-ქალი. კვლავ ჩაეწერა 132 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო 66, გაიგზავნა სამუშაოზე 54. აღდგენილია უფლებაში 4.

— **ეროვნული კულტურა**. მთელ აჭარაში დიდი მოთხოვნილებაა ქართულ კულტურის და ხელოვნებისა, ყურადღებას იქცევს ქართველ ინტელიგენციის სიმცირე და მეტ წილათ სულაც არ შეხვდებით ქართველ ინტელიგენტს, ხალხი კი მონატრულია თავის ეროვნულ, ქართულ კულტურისა.

— **ადმინისტრაცია**. საადმინისტრაციო მუშაობა დამაკმაყოფილებელია ბოროტმომქმედთა რიცხვი საგრძნობლათ შემცირდა.

ᲒᲐᲜᲓᲘᲢᲔᲒᲘᲡ ᲚᲘᲥᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲗᲝᲛᲨᲘ

დაწვრილებითი ცნობები.

დახოცილ და შეპყრობილ ბანდიტებს კავშირი ქონდათ მენშევიკებთან და გურიაში ამზადებდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხომბას. ბანდების მეთაურთა ბათომში ჩამოსვლის მიზანი იყო იარაღის შეძენა და ახალი თავდასხმების მოწყობა.

მოკლული მანწკავა ყოფილი აფიცერია. შეპყრობილი ბანდიტები მენშევიკური ყ. გვარდიელებია. შეპყრობილ ბანდიტებს უნახეს ბომბები.

ბანდიტებთან შეტაკების დაწვრილებით ცნობები შემდეგნაირია: სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ბანდიტებთან შეტაკება მოხდა არა გოროდოკში, როგორც ჩვენს გაზეთში ეწერა, არამედ ჭაობაში.

საგანგებო კომისიის მიერ მიღებულ ცნობებით ბანდის მეთაურები 9 კაცი მივიდნენ ჭაობაში ზოიძის სახლში. აქ მათ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოაწყვეს დიდი ქეიფი, რის შემდეგ დაწვენ ღამის გასათევად, დაახლოებით დილის ოთხის ნახევარზე, 31 მაისს, იქ მივიდენ საგანგებო კომისიის წარმომადგენლები, ალყა შემოარტყეს სახლს და წინადადება მისცეს აეყარათ იარაღი. ბანდიტებმა შექმნეს ხმაური სახლში და ასტეხეს სროლა მაუზერებით ფანჯრებიდან. საგანგებო კომისიის აგენტებმა უპასუხეს სროლითვე, რასაც ბანდიტების მიერ ხელის ყუმბარების გადასროლა მოყვა. სროლა გაგრძელდა ორ ნახევარ საათს და ამ ხნის განმავლობაში ყაჩაღები უწევდენ სასტიკ წინააღმდეგობას. ბოლოს მათ წინადადებით მიმართეს დაეყარათ იარაღი, რაზედაც ზოგიერთი ბანდიტები დასთანხმდენ ხელის აწევით. როდესაც საგანგებო კომისიის აგენტები შევიდენ ოთახში სამი ყაჩაღი უკვე მკვდარი იყო. შეპყრობილ ყაჩაღებს აღმოაჩნდათ სამი ბომბი. ჩვენის მხრით გარდა ორ მოკლულ ამხანაგისა აღმოჩნდა ერთი დაჭრილი.

დახოცილ და შეპყრობილ [illegible] ბრალდებები ედებათ. [illegible] ვას მოუხდენია რამოდენ[illegible] და ამდენივე თავდასხმა. დანარჩენ ბანდიტებს ბრალათ ედებათ მატარებლების, სახლების და კერძო პირების გაცარცვი.

გურიაში ყაჩაღობის დროს მანწკავას კავშირი ქონდა მენშევიკებთან, რომლებიც მას იყენებდენ „პოლიტიკურ“ ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ. მენშევიკები დიდ იმედებს ამყარებდენ მანწკავაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველა მოკლული და შეპყრობილი ბანდიტები ახალგაზდებია, წლოვანებით 27 ვიდრე 38 წლ.

ბანდის მეთაურების ჩამოსვლას ბათომში ქონდა შემდეგი მიზანი: იარაღის შოვნა და ბანდის დანარჩენ წევრთა შეიარაღება ახალი თავდასხმის მოსახდენათ.

ბანდიტებთან შეტაკების შემთხვევის გამო ბათომში გავრცელდა ათასგვარი ხმები, მაგ. ლაპარაკობენ თითქოს ბათომს თავს დაესხა ორასი კაცისაგან შემდგარი ბანდა, რომ თავდამსხმელთა შორის იყო ცნობილი ბანდიტი ღლონტი, რომელმაც მოახერხა გაქცევა და სხვა.

ეს ხმები სიმართლეს სრულიად არ შეეფერება. დახოცილ და შეპყრობილ ბანდიტთა რაოდენობა განისაზღვრება 9 კაცით. აღნიშნულ ბანდას ყაჩაღი ღლონტი არ ეკუთვნის. მას ყავს საკუთარი ბანდა, რომელიც ჯერ არ არის შეპყრობილი.

შეპყრობილ ბანდიტთა დაკითხვა ჯერ არ დაწყებულა, წინასწარი გამოძიება სწარმოებს.

ახალი ცნობები გამოქვეყნდება, როგორც კი საშვალება გვექნება.

„ბრძოლა“

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ

ᲛᲝᲬᲘᲠᲚᲘ ᲒᲐᲠᲐᲗᲘ

ერთ პატარა პროვინციელ ქალაქში ცხოვრობდა ორი ქალ-ვაჟი, რომლებსაც ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ. ნატვრაც აუსრულდათ და იგინი შეუღლდნენ. ვაჟი იყო მოსწავლე, სწყუროდა სწავლის დამთავრება და კიდევაც ახალი ამხანაგის საშუალებით გადასწყვიტეს გამგზავრებულიყო დედაქალაქში სწავლის დასამთავრებლად, მხოლოდ ქალი მას დახმარებოდა.

ასედაც მოხდა—ვაჟი მიდის სასწავლებელში, ქალი კი სამსახურს იწყებს. პატარა დროის განვლის შემდეგ, ვაჟი მიიღებს ბარათს მეუღლისაგან:

ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐᲜ ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲣᲩᲕᲔᲜᲝᲛ. ᲛᲘᲛᲦᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲦᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ. ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲝᲠᲛᲐᲒ ᲧᲝᲤᲐᲨᲘᲐ: ᲐᲛᲐᲨᲘ ᲙᲐᲜᲢᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲛᲦᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ ᲓᲐᲜᲪᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲪᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ; ᲭᲕᲠᲔᲢᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲘ ᲓᲠᲔᲡᲕᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲡ. ᲢᲕᲘᲜᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ, ᲛᲐᲡ ᲔᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ, ᲠᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲮᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ, ᲠᲐᲪ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲠᲚᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲠᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ“.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲨᲘ ᲢᲕᲘᲜᲘ. ᲓᲐ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲔᲡᲛᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲗ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲪᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ, ᲛᲐᲒ. ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲝᲜᲗᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ? ᲒᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲝᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲛᲩᲜᲔᲕᲗ?! ᲓᲐ ᲓᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲡ:

„ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲕᲔᲩᲕᲘᲔᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ (,) ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲐᲜ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ, ᲐᲜ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲘᲔᲢᲘᲖᲛᲘ ᲘᲠᲦᲕᲔᲕᲐ: „ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐᲡ“ ᲕᲔᲫᲐᲮᲘᲗ ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲬᲕᲐᲕᲔᲓ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲒᲠᲔᲗᲘ (ᲗᲣ ᲔᲡᲔᲓᲔᲜ?!) „ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲝᲗᲝᲑᲐᲡ“: ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲐ, ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲔᲕ-ᲓᲐᲠᲔᲕᲘᲗ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲔᲑᲘ—ᲗᲥᲛᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲛᲔᲢᲐᲤᲐᲖᲘᲖᲘᲣᲠᲘ (ᲗᲣ ᲛᲔᲢᲐᲤᲘᲖᲘᲣᲠᲘ?) ᲡᲣᲚ ᲛᲝᲙᲚᲔᲝᲑᲐᲐ (,) ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ „ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐᲐ“ (.) ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲛ ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲣᲚᲘ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ „ᲭᲝᲠᲞᲘᲡ“ ᲓᲠᲝᲡ ᲯᲮᲝᲑᲝᲗᲝᲗ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ: ᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ „ᲭᲝᲠᲞᲘ“ ᲣᲯᲝᲑᲝᲗᲝᲗ: ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲣᲚ-ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲐ“.**)

ᲛᲐᲨ ᲐᲡᲝ: ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ, ᲝᲛᲘ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲐ, ᲛᲝᲥ. ᲙᲐᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲙᲐᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲯᲓᲝᲛᲐ ᲐᲜ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲣᲛᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲐᲠᲘᲡ „ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ“?

ᲠᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲝᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲘᲡ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ, ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘᲡ, ᲙᲐᲜᲢᲘᲡ, ᲔᲜᲒᲔᲚᲘᲡ, ᲜᲘᲪᲨᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔ—ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲥ. ᲙᲐᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡ „ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲝᲑᲐᲛ“ ᲒᲐᲛᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐ!..

ᲒᲘᲖᲘᲙᲝ ᲐᲚᲘᲐᲜᲘ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ:

პირველ წერილში შემდეგი შეცდომაა შენიშნული: ფელეტონის მე-4 სვეტის მე-2 აბზაცის ბოლოში დაბეჭდილია: ამით ყველას princini ეწოდება ლოლიკაში. უნდა იყოს: ამით ყველასთვის ადვილად შესამჩნევია მოქ. კაპანელის ის შეცდომა, რომელსაც peticio principi ეწოდება ლოლიკაში.

*) იქვე გვ. 20.

*) იქვე—გვ. 26.

*) ob. Matière et Mèmoire. p. 16.

*) ob. Foi et Vie 20.

**) იქვე—გვ. 26.

„ძვირფასო სოგრატ! მიიღეთ გულითადი სალამი. სოგრატ, გაგონილი გექნება ქართული ანდაზა: „თევზმა სთქვა; სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქეს სავსეო“. მეც ასე მინდოდა მოვქცეულიყავი და ამ ბარათით მომეწერა შენთვის ცოტა რამ, მაგრამ გამახსენდა რა შენი დარიგება, რომ ძველ იგავარაკს ნუ მიაქცევ ყურადღებასო, რაც სათქმელი გქონდეს სთქვი, სამხილებელი ამხილეო, დღეს სიმართლისათვის არავინ დაგსჯისო. მეც გადავწყვიტე მოგწერო ვრცლად ბათომის ამბავი, თუ კი დრო დამირჩა. პირველად ყოვლისა გაცნობებ, რომ ბათომში დაიწყო მოსამსახურეთა წმენდა მავნე და არა საიმედო პირებისაგან. და როგორც ხმაა—კომისია პატარა რამეს ჰკიდებს ხელსო. მეც ძლიერ ვშიშობ, ვინმე უკმაყოფილომ არ შეიტანოს კომისიაში ჩემზე ინფორმაცია, და ჭუჭყი არ მომდონ. მაგრამ ჭუჭყი იმდენი საშიში არ არის, რამდენადაც უადგილოთ დარჩენა და ისიც, რომ შემდეგ ადგილს ვერ ვიშოვნი. ხომ იცი, ჩემი უადგილობით შენც სწავლის საქმე შეგიფერხდება“.

ამ ადგილის ბარათში ამოკითხვისას ვაჟს ჟრუანტელი მოუვიდა და ბარათი მაგიდაზე დაუვარდა, მაგრამ უცბად ბარათის შუა-ადგილას დაინახავს სიტყვას, მაგრამ წერტილებით, რის შემდეგ კითხვას განაგრძობს.

მაგრამ..... ჩემო სოგრატ, შენ ამ ამბავმა არ შეგაშფოთოს. შენ კარგათ იცი ჩემი ამბავი, თუ როგორი მოხერხებული ქალი ვარ. მე ამ წმენდის სრულიადაც არ მეშინია“.

კარგათ ვიცი ჩემი ქალის ამბავი, მაგრამ ეს ველარ გავიგე, თუ წმენდის, და ან დათხოვნის, არ ეშინია? გასაკვირია ღმერთმანი! გაწმენდენ, დაითხოვენ, შემდეგ ადგილს ვერ იშოვნის ვერსად. მეც უადგილო, ისიც შიმშილი მოგვკლავს ორივეს. შემდეგ რას სწერს არ იკითხავთ?

ჩემო სოგრატ! შენ ჯავრი ნუ გაქვს. შეიძლება კომისიამ გამწმინდოს და სრულიადაც დამითხოვოს სამსახურიდან, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ უკეთეს ადგილს ვიშოვი იქვე, იმ დაწესებულებაში. დღეს თუ საქმის მწარმოებელი ვარ, მაშინ მდივნობას მომცენენ. სოგრატ, შენ კი გაგიკვირდება: როგორ მოხდება აგეთი სასწაულო, მაგრამ მოგწერ, თუ არ გამამხელ; საქმე რაშია; მე ვიშოვი კარგ პროტექციას კიდევაც მყავს კომისართან მიჩენილი, და ის დამეხმარება. კომისიის დაშლის შემდეგ გამატარებენ ბრძანებაში, რომ მე შეცდომით ვიყავი დათხოვნილი და გადავყევარ უკეთეს ადგილას და სხვა.

ვანა პროტექციით ამისთანა რამე ხდება! ჩემო სოგრატ! რამდენიც არ უნდა ებრძოლონ ამ პროტექციას, მაინც არ იქნება მისი მოსპობა. ხუთი წლის პარტიული სტაჟიც რომ ქონდეს, არ მიგიღებენ სამსახურში, თუ კომისართან კარგად საქმე არ გაქვს და არ გყავს „პროტექცია“.

აი, ჩემო სოგრატ, რა არ მაშიხებს და სრულიადაც არ მიტეხს გულს, თორემ ლამის არის გული გამისკდებოდა შიშით წმენდის დამთავრებამდე. აგეთი მაგალითები ბევრი მოხდა ჩვენ ქალაქ ბათომში —მილიციაში, იუსტიციაში, და სხვაგ. სოგრატ, სხვა კიდევ ბევრი მინდოდა მომეწერა ბათომის ამბები, მაგრამ დრო აღარ მაქვს და შემდეგისთვის მოგწერ.

შენი ტასია.

ჩვენი სკოლა

გარე უბნის სკოლები.

უდავოა, რომ ყოფილი გიმნაზიები და მათი მზგავსი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები ძველი რეჟიმის დროსა, იყო საშუალება გაბატონებულ კლასის ხელში მათი იდეოლოგიის გავრცელების და ერთგული მოხელეების გამოზრდის; ამიტომ იყო, რომ ეს სკოლები იყვნენ პრივილეგიურ პირობებში ჩაყენებული, **გარე უბნის** და **დაბალი სკოლები** კი სრულიად **უყურადღებოთ მიტოვებულნი**. დარწმუნებული ვიყავით ჩვენ,—გარე უბნის სკოლების პედაგოგები, რომ ამ გარემოებას ბოლო მოეღებოდა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მაინც, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ამჟამათაც ძველებურათ რჩება.

იმ დროს, როდესაც ცენტრში მყოფ თითქმის ყველა სკოლებს აქვს საუცხოოთ მოწყობილი კაბინეტები, სავარჯიშოები, საკონცერტო და სხვა გვარი გასართობების დარბაზები, პიანინო-როიალები, თვალსაჩინო ნივთები და სხვა, ამ სიამოვნებას სრულებით მოკლებულნი არიან გარე უბნის სკოლები. (უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უკანასკნელებში უმთავრესად (თითქმის 90 პროც.) მუშების შვილები სწავლობენ; უკანასკნელ დროს შემოღებული შეფობასაც კი ვერ ეღირსა გარე უბნის სკოლები. იყო შემთხვევა,—მუშათა რაიონის ერთ-ერთ სკოლის პედაგ. საბჭომ თხოვნით მიმართა რკინის გზის საუბნო კომიტეტს—მიეღო ამ სკოლაზე შეფობა, მაგრამ თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული!..

ბავშვებისა და მოწაფეებისგან ხშირათ გაიგონებთ ხოლმე: მასწავლებელო, იქ ((ცენტრში მყოფ სკოლებში) როიალი აქვთ, დიდი საღამო გამართეს, ჩვენ რათ არ გვაქვს და რათ არ ვმართავთ კარგ წარმოდგენებსო. აქ პედაგოგიური ელემენტი არაფერ შუაშია, თუ ასეთ საყვედურებს ვერ დააკმაყოფილებს. ამას თავისი უარყოფითი მორალური გავლენაც აქვს აქაურ მოზარდ თაობაზე; ამათ გონებაში იკიდებს ფეხს რწმენა, რომ ის დაბლა სდგას ცენტრში მყოფ ბავშვებზე.

უარესად სდგას კითხვა სკოლის ბინის შესახებ. იმ დროს, როდესაც ძველი მფარველობის ქვეშ მყოფ სკოლებში არის დიდი, საუცხოოთ მორთული სამეცადინო ოთახები, სადაც სკოლის გამგეებს —ძველ დირექტორებს უჭირავთ სამი-ოთხი დიდი ოთახები (სადაც შეიძლებოდა სამი-ოთხი ჯგუფის მოთავსება), აქ—მუშათა რაიონებში მინიმალური მოთხოვნილებაც კი არ არის დაკმაყოფილებული; მაგ. არის სკოლები, სადაც 300—500 მოსწავლეა, მეცადინეობა სწარმოებს მხოლოდ მეორე რიგში, ე. ი. 1 საათის შემდეგ (ისიც ამ სიცხეებში). ასეთი სკოლებში საშინელი ცუდი ოთახებია, შეკეთება არ ჰქონია ოთახებს 5—8 წელია, ხშირად სკოლის შენობაში სცხოვრობენ გარეშე—უცხო პირები, რომლებიც ქმნიან სკოლისთვის ანტი-სანიტარულ მდგომარეობას. განათ. კომისარიატთან არსებობდა საბინაო სამეული, რომლის მოვალეობას შეადგენდა სკოლის შენობაში მცხოვრებ (კერძო მობინადრეების) გადასახლება და ოთახების განთავისუფლება. დახე ჩვენს იღბალს! აქაც გვიმტყუნა ბედმა. ამ სამეულის კომპეტენციაში თურმე „არ შედიოდა“ შრ. სკოლების შენობების გაწმენდა! მუშათა რაიონის ზოგიერთ სკოლებისთვის (რომლებშიც უმეტესობა რკინის გზელების შვილებია) აუცილებლად სჭირდება ახალი შენობები. წინაალმდეგ შემთხვევაში, ისინი იქნებიან ანტი-პედაგოგიურ მდგომარეობაში და ვერ შეასრულებენ დანიშნულ მიზნებს. ბავშვები კი ჩაითვლიან თავის თავს საბჭოთა სახელმწიფოს უკანონო შვილებათ.

საჭიროა მიექცეს მეტი ყურადღება გარე უბნის სკოლებს, სადაც ნამდვილი პროლეტარიატის ნაწილის შვილებია და სკოლები უზრდიან სამშობლოს ნამდვილ მოქალაქეებს.

გ. ოდიშარია.

ჩაითრია გუზი გადაგმა

(წერ. რედაქც. მიმართ)

მჭედლიშვილმა მიაღწია თავის მიზანს.

მის შესახებ მარუთა უკვე მეორე წერილს გიგზავნით.

მოქ. რედაქტორო!

ჩემს პირველ წერილში ი. მჭედლიშვილი საკმაოდ დავწურე, **როგორც საკუთარ ინდივიდუალობას მოკლებული ავტორი.** საბუთები ძველ მწერალთა სუფრიდან საკმაოდ მოვიყვანე. სხვა და სხვა მოსაზრებით ჩვენ გრიშაშვილზე გავჩუმდით. მაგრამ მჭედლიშვილი არ ჩუმდება. მაშ, ბატონო რედაქტორო; თქვენს გაზეთში რომ სიტყვა არ გაგრძელდეს, გთხოვთ მოიწვიოთ თქვენი ი. მჭედლიშვილი **და** თავისუფალ დროს აჩვენოთ გრიშაშვილისგან აღებული ეს ადგილები.

გადაშალეთ გრიშაშვილის მეორე წიგნი (გვ. 11.) და შეადარეთ „პარნასში“ დაბეჭდილ მჭედლიშვილის ლექს: „იის თვალებას“ (ეს ლექსი მის წიგნში არ არის მოთავსებული); აიღეთ „ტრიბუნას“ რედაქციაში შემონახული 1914 წლის „სახალხო გაზეთის“ კომპლექტი, ნახეთ გრიშაშვილის ლექსი: „აციოდა ნაცრის ფრად“ (6 მარტი. № 1132) და შეადარეთ იმავე წლის „სახალხო გაზეთში“ დასტამბულ მჭედლიშვილის ლექსს „სიცივეს“ (2 აპრილი, № 1155); აიღეთ 1920 წლის „სახალხო საქმის“ წლიური კომპლექტი (ესაც თქვენს რედაქციაში ინახება), ნახეთ გრიშაშვილის ლექსი (1920 წ. № 923. სექტემბრის 9.) და შეადარეთ მჭედლიშვილის ლექსს—იმავე წელს და იმავე გაზეთში დასტამბულს (1920 წ. № 943, ოქტომბრის 8-ს), ბოლოს აიღეთ საბედისწერო სტრიქონი: „ძარღვებში სისხლის გადმოღვრა“—მონახეთ გრიშაშვილის პაწია ლექსი ქუთათურ, გ. ახვლედიანის რედაქტორობით გამოსულ „ცისკარში“ (1908 წ. № 2), სადაც ნათქვამია: „შენს ზეწარზე სისხლის ვარდი ამ ძარღვიდან დაიღვარა“. ჩვენ, თქვენი ლოღიკა რომ გვქონდეს ვიტყოდით, მჭედლიშვილმა გრიშაშვილის სტრიქონის ზმნა შეცვალა და ოთხი წლის შემდეგ ქუთაისიდან კახეთში გააპარა. რაც შეეხება მჭედლიშვილის „მწუხრებს“ თუ „საღამოთი“ აქაც ხომ ერთგვარი ცდა იყო გრიშაშვილის ხელთნაწერ ლექსების წაბაძვისა. თორემ სად მჭედლიშვილის „რელიგია“ და სად ნაკადულის „პირველი მაისი“.

ძალიან მიკვირს რომ ი. მჭედლიშვილი ეხლა ნანობს, „ამისთანა უმნიშვნელო საგანზე ლაპარაკი ჩემმიერ უნებლიეთი შეცდომაო“. (იხ. “ტრ.“ № 486) როგორ მოგწონთ? ჯერ „იძულებულია ხმა ამოიღოს“ იწვევს საკამათოდ ხალხს, სწამებს ცილს და, როცა ამისთანა მაჭატას თავის ადგილს მიუჩენს მოპირდაპირე—მერე გაიძახის: არა ღირს უმნიშვნელოა შეცდომა მომივიდაო.

სწორედ ამისთანა სარფის ხალხისა—მე არც პოეზია მწამს, არც მოქალაქეობა და არც მამულიშვილობა.

თქვენ კი, მოქ. რედაქტორო, მგონი უნდა იცოდეთ, რომ მარუთა შუამდინარელს გაგიეებით უყვარს კამათი ხელოვნების გუშაგებთან. ამ შემთხვევაში კი თქვენც დამეთანხმებით, რომ ი. მჭედლიშვილს რაღაც „პირადი ბოღმა“ ვერ მოუნელებია. და მე როგორც გრიშაშვილის აზიქს უხერხულად მივიჩნიე მისი ლექსთა ციტატების მოყვანა, აი ეხლაც ჩამოგიწერეთ თარიღები, თქვენ თითონვე შეადარეთ გრიშაშვილის ლექსები მჭედლიშვილის ლექსებს და დარწმუნდებით, რომ არიან პოეტები რომელნიც სხვა პოეტთა ნამცეცებით იკვებებიან და სახელის შემთლიანებისთვის პირიქით ყვირიან „გაძარცულს“ ლანძღვენ.

ამ შემთხვევაში კამათი „ჩიტის ბდღვნასა“ ჰგავს

ჩემი სიტყვის ნაჭდევი კი მინდა რომ ყოველთვის კულტურული იყოს.

რედაქცია ვალდებულია *) ქართული ხელოვნების მორგვი ყველას არ მისცეს საგორაოდ. ამით არავის დაფარვას არ მოვითხოვ. თუ დამნაშავეა; უნდა დაისაჯოს კიდეც. მაგრამ არიან ისეთი მწერლები, რომელთა ხელის წამოკვრაც პირადულ ნიადაგზე არავის ეპატიება. მჭედლიშვილის წერილი კი, წერილი არ არის.—ის არის ნაცემი როსკიპის ღრიალი—ქურდობაში რომ დაიჭერენ მას.

ი. მჭედლიშვილზე ხშირად გამიგონია: „არა ღირს“, „ცოდოა“, „საწყალი არი“! მაგრამ ეს ხომ თავის მოკატუნებაა. ჩვენ ვიცნობთ ბევრ ისეთ მწერალს, რომელიც სახით ჩამორეცხილ ფრესკის იერს ატარებს. გული კი ყაყაჩოსავით შავი აქვს. პოეზისთვის სწორედ ასეთი ხალხია საშიში.

ყოველი პოეტი, თუ მასში ქმედითი ცეცხლი ალობს, უნდა ცდილობდეს საკუთარი კიდეგანობის გაშლას. თუ პოეტს თავისი „რაღაცა“ არა აქვს, ის პოეტი არ არის, მისი მომავალი სახიფათოა. სხვათა უმწიკვლო ტალახი საკუთარი ბუდის შეძ[illegible] წვა დიდხანს ვერ იმოვარეებს.

არიან ჩვენში პოეტები, [illegible] ბიან სხვა პოეტთა [illegible] ღარ აღწევენ მის [illegible] ვით **ჩუმად** იღწვიან. მაგრამ არიან ისეთებიც, [illegible] მელნიც დღისით, მზისით, ყველას თვალწინ [illegible] აზრებზე თავდასხმას აწარმოებენ და პირიქით [illegible] თონვე **ყვირიან.**

ამ შემთხვევაში მჭედლიშვილის საქციელი [illegible] გონებს „შარს“, გამოღმა შემოდავებას, ან როგორ[illegible] ჩვენში იციან: „სართი დასწრებისაო!“

ცნობილია რომ მჭედლიშვილს საკუთარი [illegible] არა აქვს. მისი წიგნი ეს ძველი საბანია სხვადას[illegible] ნაჭრით დაკერებული. ხშირად მოხდება, რომ [illegible] რო პოეტის ლექსი მომწონს. მაგრამ საკმარი[illegible] ფიზიოლოგიურ მეობიდან განთავისუფლება და [illegible] ნავი დაკვირვება, რომ ასეთი ლექსი ავტორის [illegible] შეცდომად მიიღო: მჭედლიშვილი იმდენად [illegible] პოეტი, რამდენადაც მას საკუთარი ლექსის წერა[illegible] შეუძლიან. ამას არც თვითონ მალავს. იგი,-თა[illegible] გასამართლებელ წერილში ამბობს, „უეჭველად [illegible] შაშვილის რომელიმე ლექსის გავლენა არის ჩემ[illegible] ჩემი იმაზე, ხოლო ასეთ ლექს ვასათაურებ, [illegible] იგი **გრიშაშვილისებურიაო!**“..

რა გაეწყობა უნდა დაუჯეროთ ჩვენს [illegible] ტორს.

დასასრულ, ბატონო რედაქტორო, უნდა [illegible] ვნიშნო მჭედლიშვილის ერთი ღირსება. იგი [illegible] გიერთ ჩემს შენიშვნებს ეთანხმება და ამბობს: „[illegible] რუთა მართალიაო!“, შეიძლება ეს „მართალ[illegible] მართლაც მართალიც იყოს, მაგრამ ფაქტი კი ფ[illegible] ტად რჩება,-და ამას არც ი. მჭედლიშვილი მალავ[illegible] რომ მას მხოლოდ გრიშაშვილის „ჩხვლეტა“ [illegible] დოდა.

მოდი, ჩვენ ასეთი სადისტობა ვაპატიოთ მჭ[illegible] ლიშვილს და მის „ჩხვლეტას“ ტერორით ნუ ვუ[illegible] სუხებთ!

პატარა ბარტყებზე ნადირობა არ მიყვარს.

მე უფრო დიდრონი მხეცები მყავს მოსათ[illegible] ნიერებელი.

წერტილი.

მარუთა შუამდინარელი.

*) რედაქციას კარგად ესმის თავის მოვალეობა, გაცილებით უკეთ, ვინემ ზოგიერთ „ხუცების“ როლში გამოსულ პოეტებს თავისი მოვალეობა ი. გრიშაშვილს და ი. მჭედლიშვილს ჩვენ კარგად ვიცნობთ და მათ შორის არაფერი პირადი არ შეგვიმჩნევია. ისე კი ქართული ხელოვნება არავის მონოპოლიად არ მიგვაჩნია და ნეტავი მის შესახებ მართლაც ყველა სწერდეს, მაგრამ არა ისე, როგორც მარუთას ეს უკანასკნელი წერილი, რომელიც ჩვენ ერთ ადგილას ცოტა შევარბილეთ, მაგრამ მისი ნაჭდევი მაინც არ გამოდის კულტურული.

რედაქცია.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ

მბეჭდავების კლუბში. შაბათს, ივნისის 2-ს, ბეჭდვითი საქმის პროფკავშირთან არსებულ ქართულ დრამატიულ სექციის მიერ გაიმართა მორიგი ქართული წარმოდგენა უმუშევართა სასარგებლოდ: წარმოადგინეს 1) „რაც გინახავს ველარ ნახავ“ და 2) „ჭკუისა მჭირს“ მუშები აუარებელი დაესწრო. წარმოდგენა მუშა მსახიობებმა მწყობრად ჩაატარეს.

ცენტრალურ მუშათა კლუბში. გასულ ხუთშაბათს აღნიშნულ კლუბში მიწვეული იქნა ავლაბრის მუშათა კლუბის ქართული სექციის მუშა-მსახიობები წარმოდგენის გასამართავად; წარმოადგინეს ირეთელის რევოლიუციონური პიესა „დამარცხებულნი“. აღნიშნულ კლუბში ქართულ სექციას ეს წარმოდგენა სანიმუშოდ მოაწყობინეს წარმოდგენა უფასო იყო, დაესწრო როგორც აუარებელი მუშები, აგრედვე ქართ. წითელ-არმიელები.

წარმოდგენით დამსწრე ხალხი და კლუბის კომისია ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

ავლაბრის მუშათა კლუბში: კვირას, ივნისის 3-ს, კლუბთან არსებულ ქართულ სექციის მუშა-მსახიობებმა დასდგეს თავიანთ რეჟისორის ი. რევაზიშვილის საბენეფისოდ კლასიკური პიესა **„ედმინდ კინ“**. მიუხედავად მრავალი სცენიური ნაკლულევანებისა (დეკორაციები, რეკვიზიტი და სხ.) და პიესის სირთულისა, მუშა-მსახიობებმა წარმოდგენა ჩაატარეს ყოველგვარი დეფექტების გარეშე. წარმოდგენას ხალხი აუარებელი დაესწრო.

მუშა ისკანდერი.

სეზონის დახურვა. 3 ივნისს დაიხურა ქართულ აკადემიურ დასის სეზონი. დაწვრილებით შემდეგ.

კვირას, 13 ივნისს, დაიხურა რუსულ აკადემიურ დრამის სეზონი. სეზონის დასასრულს დაიდგა პიესა „ვარდები“ დასის ხელმძღვანელ რადოლ[illegible] ნის საბენეფისოთ.

მეიერხელდის ჩამოხვლა. ივნისის შუა რი[illegible] ხვებში ტფილისს ეესტუმრება სახელგანთქმული რ[illegible] ჟისორი მეიერხელდი და დასდგამს რამოდენიმე პ[illegible] ესას.

სარეპერტუარო კომისიაში. განათლების კ[illegible] მისარიატთან არსებულ სარეპერტუარო კომისი[illegible] თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. შავიშვილი. წევრ[illegible] ბათ: წარმომადგენელი სამხატვრო კომიტეტისა[illegible] შალვა დადიანი და ერთიც მთავარ პოლიტ.-განა[illegible] განყოფილებიდან.

სომხური მუსიკალური კომედია. როსტო[illegible] დან ტფილისში ჩამოვიდა სომხური მუსიკალუ[illegible] კომედიის დასი ვანშინის ხელმძღვანელობით. წ[illegible] მოდგენები გაიმართება ყოფილ ქართულ კლუ[illegible] შენობაში.

სახალხო თეატრის 30 წ. იუბილეს გადა[illegible] ბა. ორშაბათს, 4 ივნისს, სახალხო განათლების კ[illegible] მისარიატის შენობაში შესდგა კრება საიუბილ[illegible] კომიტეტის მთელის შემადგენლობისა, რომელ[illegible] დაც საბოლოოდ გადაწყდა, რომ სახალხო თეა[illegible] რის 30 წლის იუბილე—გადატანილ იქმნეს მო[illegible] ვალ შემოდგომისათვის. სარედაქციო კომისია მუ[illegible] ობას განაგრძობს.

ნიკო გვარაძის ბენეფისი. შაბათს, 9 ივნ[illegible] რუსთაველის თეატრში შესდგება ნიკო გვარა[illegible] ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება პირველად [illegible] ჭონქაძის მოთხრობიდან სასცენოდ დაწერილი [illegible] ესა „სურამის ციხე“, დრამა-ლეგენდა 4 მოქმ[illegible] ბად და 5 სურათად აპოთეოზით. წარმოდგენ[illegible] მონაწილეობას მიიღებენ ქართულ თეატრის საუ[illegible] თესო ძალები.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი:

1917 წლიდან მე ვირიცხებოდი საქ. სოც. ფედერალისტთა სარეკ. პარტიის წევრად. პარტიაში ყოფნის დროს ვიზიარებდი მარცხენა ფრთის აზრს და ტაქტიკას. 1921 წლიდან პარტიის დაშლის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ საქ. მემარცხენე სოც. ფედერალისტთა სარ. პარტია ეს ერთად ერთი პარტიაა, რომელსაც სისწორით აქვს გეზი აღებული ცხოვრებისათვის და რომლის პროგრამას ასე სისწორით ამართლებს ცხოვრება, ამიტომ მთელის არსებით მსურს ვირიცხებოდე ამ პარტიის წევრად.

გაიოზი მელიტონის ძე ბერულავა.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერ[illegible] მოათავსოთ შემდეგი: რუსულ გაზეთ „რაბო[illegible] პრავდა“-ში, 31 მაისის, 69 ნომერში, შემთხვევ[illegible] წავიკითხე კათოლიკოზ-პატრიარქის წინააღმ[illegible] წერილი, რომელიც ჩემი გვარით და სახელით ა[illegible] ხელმოწერილი.

ვაცხადებ, რომ ეს წერილი მე არ მეკუთვ[illegible] და არც მიფიქრნია მგზავსი წერილის დასტამ[illegible] ვის დასჭირდა საკუთარი აზრების გასაღება ჩ[illegible] გვარით, გასაკვირალია.

ვწუხვარ, რომ ჩემი მტრები არაფერს ერიდ[illegible] ბიან ჩემი სახელის დასამცირებლად.

ი. ჩიჯავაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 336 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.